

ცვლილებები შეტანილი და დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი №10 21.09.2012



## სტუდენტის ცნობარი

თბილისი  
2015-2016

სტუდენტის ცნობარში მოცემულია სტუდენტებთვის საჭირო ინფორმაცია

## თავი I. უნივერსიტეტის მისია

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ "გორგასალის" (შემდგომში - უნივერსიტეტი) მისიაა ხარისხიანი, ხელმისაწვდომი თანამედროვე განათლების უზრუნველყოფა ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, გამოცდილი და აგრეთვე ახალი ფორმაციის სპეციალისტების კვალიფიკაციის მეშვეობით, რომლებსაც გააჩნიათ უშუალოდ მეცნიერებაში, წარმოებასა და სამეწარმეო საქმიანობაში მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის უნარი. ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ხელი შეუწყონ პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ტრანსფორმირება ინოვაციური ტიპის უნივერსიტეტად, რომელიც შესთავაზებს ახალგაზრდებს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას.

ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, ორიენტაცია დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, სტუდენტთა პიროვნული პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ჰარმონიული და მაღალხნეობრივი პიროვნების აღზრდაზე.

თანამედროვე მოთხოვნის შესატყვისი კომპეტენციის ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება, ვისაც ძალუმს სამეწარმეო იდეების წარმატებული განხორციელება. მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

## თავი II. უნივერსიტეტის სტატუსი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით № 57/ს, 22.11.2007 უნივერსიტეტს მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №131/ს 30.11.2009 სტუდენტების ადგილების რაოდენობა განისაზღვრა 585-ით. ხოლო

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (№304 2012 წ. 23 ოქტომბრი), შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალს“ 5 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 600-ით.

### **თავი III. ფაკულტეტები/საგანმანათლებლო პროგრამები**

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“ ახორციელებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ორი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს (საბაკალავრო და სამაგისტრო).

#### **ბაკალავრიატი**

ბაკალავრიატის, როგორც საუნივერსიტეტო განათლების პირველი საფეხურის აკადემიური პროგრამის მიზანია სტუდენტთა პროფესიული მომზადება და შესაბამისი სპეციალობის თეორიული საფუძვლების შესწავლა, რაც აუცილებელია მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად ან პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად. პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.

სტუდენტს საბაკალავრო საფეხურზე საშუალება აქვს დაეუფლოს, როგორც ძირითად, ასევე დამატებით სპეციალობას (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისა).

ძირითად მაპროფილებელ სპეციალობას, რომელშიც სტუდენტს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამაში ეთმობა მინიმუმ-120 კრედიტი, გარდა რეგულირებადი საბაკალავრო პროგრამისა, სადაც გათვალისწინებულია სავალდებულოდ მინიმუმ 180 კრედიტი.

დამატებით სპეციალობაში სტუდენტს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი. მიღწეული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები აისახება დიპლომის დანართში. უნივერსიტეტში არსებულ დამატებით სპეციალობას ენიჭება 60 კრედიტი.

#### **მაგისტრატურა**

სამაგისტრო აკადემიური პროგრამის მიზანია სტუდენტთა მომზადება სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისათვის, აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლება და შეცვლა. შესაძლებელია მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება სხვა სპეციალობით.

პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს.

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალში“ სწავლება მიმდინარეობს ოთხ ფაკულტეტზე:

1. ჯანმრთელობის დაცვის ფაკულტეტი - დეკანის მ/შ: ასოც. პროფ. მარინა შაქარაშვილი

პროგრამები: **ერთსაფეხურიანი** - სტომატოლოგია;

## საბაკალავრო პროგრამა - ფარმაცია.

2. სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტი - დეკანის მ/შ:

სრული პროფ. კონსტანტინე აბულაძე

საბაკალავრო პროგრამები: ეკონომიკა, ბიზნესის ადმინისტრირება, მენეჯმენტი; ტურიზმი.

სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი).

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - დეკანის მ/შ: სრული პროფ. მარინა ბურდული.

საბაკალავრო პროგრამა: ფილოლოგია (ინგლისური).

4. იურიდიული ფაკულტეტი - დეკანის მ/შ: სრული პროფ. ზაურ ჯინჯოლავა.

საბაკალავრო პროგრამა: სამართალი.

### მაგისტრატურა

სამაგისტრო აკადემიური პროგრამის მიზანია სტუდენტთა მომზადება სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისათვის, აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლება და შეცვლა. შესაძლებელია მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება სხვა სპეციალობით.

პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს.

ამ ეტაპზე უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ეს პროგრამებია: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა და საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ხორციელდება ჰოლანდიის ახალ ევროპულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით (პროგრამა აკრედიტებულია; საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი №78 22.07.2015).

უნივერსიტეტში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სრული ინფორმაცია იხილეთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე - [www.gorgasali.edu.ge](http://www.gorgasali.edu.ge) რომელზეც, ასევე, განლაგებულია სტუდენტისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია; ვებგვერდი განახლებადია და აქვს საკომუნიკაციო დატვირთვა.

## თავი IV. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტი უნდა იცავდეს საქართველოს კონსტიტუციის დებულებებს, ქვეყნის კანონებს, კულტურულ ფასეულობებსა და ტრადიციებს.

უნივერსიტეტის სტუდენტი პატივისცემით უნდა მოექცეს თითოეულ მოქალაქეს მიუხედავად მისი რასის, ეროვნების, ასაკის, სქესის, სოციალური სტატუსის, პოლიტიკური, რელიგიური მრწამსისა და მსოფლმხედველობისა.

უნივერსიტეტის სტუდენტმა არ უნდა გაავრცელოს ინფორმაცია, რომელიც შეუწყობას ხელს ადამიანების, სხვადასხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, მათ შორის უნივერსიტეტის კომპრომენტირებას, წესრიგის დესტაბილიზაციას ნებისმიერი ფორმით. უნივერსიტეტის სტუდენტისათვის შეუფერებელია მონაწილეობა არასანქცირებულ მიტინგებსა და აქციებში.

მათი პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტებმა უნდა გამოავლინონ ისეთი თვისებები, როგორცაა:

- წესიერება, პატიოსნება, კეთილსინდისიერება და შრომისმოყვარეობა;
- თავაზიანობა, ტაქტი, ეტიკეტის ნორმების დაცვა;
- თავშეკავება და თვითკონტროლი;
- კრიტიკის სწორი აღქმა, შეცდომების აღიარების უნარი;
- დამოუკიდებლობა.

უნივერსიტეტის სტუდენტი მუდმივად უნდა იმაღლებდეს ცოდნის დონეს, სწავლის პროცესში ავლენდეს მაღალ საშემსრულებლო დისციპლინას, ინიციატივას, აღიქვამდეს სასწავლო პროცესს, როგორც ცხოვრების განუყოფელ ნაწილს.

უფროსკურსელები უნდა ზრუნავდნენ დაწყებითი კურსების სტუდენტებისადმი დადებითი გამოცდილების გაზიარებაზე, უწევდნენ დახმარებას უნივერსიტეტში სწავლის მათთვის ახალი პირობებისადმი ადაპტაციის პროცესში.

სტუდენტი ვალდებულია დაიცვას სუბორდინაცია ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ურთიერთობაში.

ურთიერთობა სტუდენტებს შორის, ისევე როგორც სტუდენტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებსა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის, ტაქტის, კორექტულობის, თავაზიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს.

უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსთან შეუფერებელია სხვისი პატივისა და ღირსების დამცირება, აგრესიის, არაკორექტული ქცევის სხვადასხვა ფორმით გამოვლინება. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ისევე როგორც მის ფარგლებს გარეთ, აკრძალულია არანორმატიული და შეურაცმყოფელი ლექსიკის გამოყენება.

მამრობითი სქესის სტუდენტებს ეკრძალებათ უნივერსიტეტის შენობაში ყოფნა ქუდით ან სხვა თავსაბურავით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მათ ნაციონალურ ტრადიციას, რელიგიურ მრწამსს ან რაიმე სხვა საპატიო გარემოებას. ლექციებსა და უნივერსიტეტში სხვა ოფიციალური ღონისძიებების ჩატარებისას სტუდენტებისათვის რეკომენდირებულია ჩაცმულობის ისეთი სტილი, რომელიც შეესაბამება თანამედროვე უნივერსიტეტის სტუდენტის იმიჯსა და მისი სწავლების პირობებს; თითოეულ სტუდენტს უნდა ახასიათებდეს ცხოვრების ჯანსაღი წესი, რომელიც გულისხმობს უარის თქმას თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაზე.

უნივერსიტეტის შენობაში, მათ შორის აუდიტორიებში, დერეფნებში, სამუშაო ოთახებში, ღია ვერანდებსა და ტუალეტებში თამბაქოს მოწევა აკრძალულია, როგორც სტუდენტებისა და მათი

მშობლებისათვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის. თამბქოს მოწევა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის შიდა ეზოში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ფარდულის ქვეშ.

სტუდენტმა განუხრელად უნდა დაიცვას მეცადინეობის ცხრილი, დროულად გამოცხადდეს შესაბამის აუდიტორიაში. ლექციებზე, სემინარებზე, კონსულტაციებსა და გამოცდებზე დაგვიანებულები დაიშვებიან მხოლოდ ლექტორის ნებართვით. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სასწავლო განრიგით გათვალისწინებულ ყველა მეცადინეობას. გაცდენა საპატიო მიზეზით უნდა დასტურდებოდეს ოფიციალური დოკუმენტით.

სტუდენტმა არ უნდა შეუშალოს ხელი ლექციის ან სემინარის მსვლელობას. დაუშვებელია ერთმანეთთან საუბარი, მობილური კავშირის საშუალებების გამოყენება.

სტუდენტმა დროულად უნდა შეასრულოს ლექტორის დავალებები, საშინაო, საკონტროლო და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვა სახის დამოუკიდებელი სამუშაო.

სტუდენტის მიერ ლექტორის ხელმოწერის გაყალბება ან მისი მცდელობა, უნივერსიტეტში სწავლასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული სხვა რაიმე დოკუმენტის ფალსიფიცირება განიხილება, როგორც მისი სახელის გატეხა და თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „გორგასალი“ სტუდენტისა და საქართველოს ინტელექტუალური ელიტის მომავალი წარმომადგენლისთვის შეუფერებელი ქცევა.

უნივერსიტეტის სტუდენტი აღიარებს როგორც აუცილებელსა და სასარგებლოს სტუდენტური აქტივობის შემდეგ მიმართულებებს: საგანმანათლებლოს, სპორტულს, შემოქმედებითსა და საზოგადოებრივს. უნივერსიტეტში სწავლის პროცესში იგი ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუწყოს ამგვარ საქმიანობას.

უნივერსიტეტის ნებისმიერი მატერიალური ობიექტის, მისი საკუთრების მიმართ სტუდენტის დაუდევარი დამოკიდებულება, ვანდალიზმი, მითვისება, შენობიდან თვითნებური გატანა განიხილება როგორც სტუდენტის სტატუსისათვის შეუფერებელი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

სტუდენტი ვალდებულია გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის საბიბლოთეკო-ინფორმაციულ რესურსებს, დაიცვას სისუფთავე და წესრიგი აუდიტორიებში, კვების ობიექტზე, საკონფერენციო და სპორტულ დარბაზებში, უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

სტუდენტს შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებით.

## თავი V. აკადემიური კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის *შემოდგომის* სემესტრი

სასწავლო კვირა	განმარტება
1	I ლექცია და სილაბუსის გაცნობა
2	II ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
3	III ლექცია და საპრეზენტაციო ნაშრომის თემის არჩევა. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
4	IV ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
5	V ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
6	<b>პირველი შუალედური შეფასება</b>
7	VI ლექცია. <i>შუალედური შეფასების შედეგების განხილვა.</i>
8	VII ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
9	VIII ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
10	IX ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
11	X ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
12	<b>მეორე შუალედური შეფასება</b>
13	XII ლექცია. <i>შუალედური შეფასების შედეგების განხილვა.</i>
14	XI ლექცია. შუალედური შეფასების შედეგების განხილვა.
15	XIII ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
16	XIV ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
<b>საახალწლო არდადეგები</b>	
17	XV ლექცია. რეფერატის პრეზენტაცია
18-19	დასკვნითი გამოცდა

2015-2016 სასწავლო წლის *გაზაფხულის* სემესტრი

სასწავლო კვირა	განმარტება
1	I ლექცია და სილაბუსის გაცნობა
2	II ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
3	III ლექცია და საპრეზენტაციო ნაშრომის თემის არჩევა. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
4	IV ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
5	V ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
6	<b>პირველი შუალედური შეფასება</b>
7	VI ლექცია. <i>შუალედური შეფასების შედეგების განხილვა.</i>
8	VII ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
9	VIII ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
	<b><i>სააღდგომო არდადეგები</i></b>
10	IX ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
11	X ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
12	<b>მეორე შუალედური შეფასება</b>
13	XII ლექცია. <i>შუალედური შეფასების შედეგების განხილვა.</i>
14	XI ლექცია. <i>შუალედური შეფასების შედეგების განხილვა.</i>
15	XIII ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
16	XIV ლექცია. ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა.
17	XV ლექცია. რეფერატის პრეზენტაცია
18-19	დასკვნითი გამოცდა



## თავი VI. საკრედიტო სისტემა

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ "გორგასალში" საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემების შესაბამისად (ECTS). ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა. მისი დანიშნულებაა აკადემიური დატვირთვის ასახვა, რომელიც სტუდენტს ესაჭიროება სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500-1800 ასტრონომიულ საათს. ერთი კრედიტი თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ "გორგასალში" მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

დასაშვებია, რომ სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

ბაკალავრის კრედიტი – 240 კრედიტი, ხანგრძლივობა: 8 სემესტრი.

მაგისტრატურა – 120 კრედიტი, ხანგრძლივობა: 4 სემესტრი.

ბაკალავრიატში სწავლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს სულ 240 კრედიტს, ყოველი კურსის განმავლობაში – 60, ყოველ სემესტრში – 30-ს.

კრედიტებში გათვალისწინებულია როგორც ლექცია – ჯგუფში მუშაობის, ასევე დამოუკიდებელი მუშაობისათვის საჭირო საათები, შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მოსამზადებლად განკუთვნილი საათები.

სასწავლო პროგრამა აგებულია მოდულების მიხედვით, რაც თეორიისა და პრაქტიკის, ზოგად სწავლების ინტეგრაციის მსოფლიოში აღიარებული სისტემაა.

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ "გორგასალში" სასწავლო - აკადემიური წელი ოცდათვრამეტ (38) კვირიანია. სემესტრი ცხრამეტ კვირიანი (19). აქედან თხუთმეტი (15) კვირა ეთმობა ლექციასა და ჯგუფში მუშაობას, ორი კვირა - მეექვსე (6) და მეთორმეტე (12) - შუალედურ შეფასებებს, მეთვარმეტე (18) და მეცხრამეტე (19) კვირა ეთმობა დასკვნით გამოცდას.

## თავი VII. შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება უწყვეტი და სწავლების სრული ციკლის თანამდევით პროცესია. სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტისთვის შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო წლის/სემესტრის მანძილზე. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუასემესტრული, დასკვნითი/ფინალური გამოცდ(ებ)ის დადებით შედეგების ჯამს. დასკვნითი გამოცდის შესაბამისი ქულათა რაოდენობა არის 30. თუ სტუდენტი ვერ აგროვებს ფინალურ გამოცდაზე 51 ქულას ან მეტს, ამ

დასკვნითი გამოცდის ქულა ანულირდება ხელმეორედ დასკვნით გამოცდაზე გასვლის დროს. დანარჩენი 60 ქულა სტუდენტმა უნდა მოაგროვოს სემესტრული შეფასებების დროს. შეფასების სისტემა არის მრავალკომპონენტური, 100 ქულიანი და იგი ევროპული კრედიტის დაგროვების ტრანსფერის სისტემის ძირითადი არსია, როგორც პროცესის უწყვეტობის, მყარი ცოდნის, სწავლის და ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე ორიენტირებული ცოდნის მიღების ძირითადი ინსტრუმენტი.

სტუდენტის გაწეული სემესტრული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა. შუალედურ შეფასებებს;
- ბ. დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

ასევე სემესტრული მუშაობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა კომპონენტი, რომლებშიც აისახება სტუდენტის მუშაობის ხარისხი. შეფასების თითოეულ კომპონენტს მინიჭებული აქვს ქულების გარკვეული რაოდენობა. კერძოდ:

**I. სემესტრული აქტივობა 0 – 30 ქულა** (მოიაზრება ყველა ის აქტივობა, რომელსაც სტუდენტი სემესტრის განმავლობაში წარმართავს: ჯგუფში მუშაობა, დებატებში მონაწილეობა, პრეზენტაცია, რეფერატის შესრულება და ა.შ. ფასდება ლექტორის მიერ ინდივიდუალურად. 30 ქულის გადანაწილებაში პედაგოგი თავისუფალია);

**II. ორი შუალედური შეფასება 0 – 40 ქულა** (შუალედური შეფასება ტარდება წერიითი ფორმით მე-6 და მე-12 კვირებში. თითოეულის მაქსიმალური შეფასებაა -20 ქულა). სტუდენტის მიერ შუა სემესტრულ კომპონენტებში მიღებული შეფასებები ძალაში რჩება მხოლოდ მიმდინარე სემესტრის განმავლობაში, დამატებითი დასკვნითი გამოცდების დასრულებამდე. მომდევნო სემესტრში ან კურსის თავიდან გავლის შემთხვევაში იმავე კურსის თავდაპირველი სწავლებისას მიღებული შუასემესტრული შეფასებები მხედველობაში აღარ მიიღება.

**III. დასკვნითი გამოცდა 0 – 30 ქულა** (ტარდება სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ სასესიო პერიოდში - მე-18-19 კვირას წერიითი (ბილეთები/ტესტები/საკითხები) ფორმით. მაქსიმალური შეფასებაა - 30 ქულა).

**ბ) დასკვნით გამოცდაზე დასაშვები მინიმალური ქულა შეადგენს 21-ს.**

**გ) ცოდნის საბოლოო შეფასება წარმოებს აღნიშნულ კომპონენტებში დაგროვილი ქულების საერთო ჯამის მიხედვით – შემდეგი შკალის შესაბამისად:**

ქულების რაოდენობა	ნიშანი	შეფასება
91–100	<b>A</b>	ფრიადი
81–90	<b>B</b>	ძალიან კარგი
71–80	<b>C</b>	კარგი

61–70	<b>D</b>	დამაკმაყოფილებელი
51–60	<b>E</b>	საკმარისი
41–50	<b>FX</b>	ვერ ჩააბარა (სტუდენტს მეტი დამოუკიდებელი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0–40	<b>F</b>	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი. მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი) და კრედიტის მისაღებად სასწავლო დისციპლინის კურსი განმეორებით უნდა მოისმინოს)

**დ. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტი გამოცდაზე მიიღებს გამოცდის მაქსიმალური ქულის 50%-ს+1.**

ე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (№3 2007 წლის 5 იანვარი) საფუძველზე სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს:

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

გ. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

ზ. 100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას. სტუდენტის მიერ 100-დან 51 ქულის დაგროვების შემთხვევაში საგანი ჩაბარებულად ითვლება. 41-დან 50 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დასკვნით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება კურსის გამეორების გარეშე. თუ სტუდენტმა ამ შემთხვევაშიც 41-ზე ნაკლები ქულა დაგროვა. მან თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო კურსი. მესამეჯერ გამოცდაზე გასვლის უფლება სტუდენტს იმავე სემესტრში არ მიეცემა.

**გამოცდის შედეგების გასაჩივრება**

სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს ან უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

### ნიშნების ქულებში გადაყვანის წესი

შეფასება	ქულათა მაქსიმალური რაოდენობის %	შეფასების კლასიფიკაცია
„ფრიადი“ (5)	85-ზე მეტი	დადებითი
„კარგი“ (4)	70 – 84	დადებითი
„დამაკმაყოფილებელი“ (3)	50 – 69	დადებითი
„არადამაკმაყოფილებელი“ (2)	50-ზე ნაკლები	უარყოფითი
„ჩათვლა“	50 და მეტი	დადებითი
„არჩათვლა“	50-ზე ნაკლები	უარყოფითი

თავისუფალი კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მოისმინოს ყველა ის სასწავლო დისციპლინა, რომელსაც წინანპირობა არ გააჩნია.

### თავი VIII. გამოცდის ჩატარების წესი

სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვებისათვის აუცილებელი მინიმალური ქულაა 21.

გამოცდაზე სტუდენტთა ჩაჭრის საფუძველია:

- ა) გამოცდაზე გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;
- ბ) შეფასების მიღება გამომცდელზე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მუქარით, მოტყუებით, თაღლითობითა და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით;
- გ) გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან (ე.წ. ”შპარგალკა”) გამოყენება;
- დ) აუდიტორიიდან გაძევება გამოცდის ჩაშლის მცდელობის ან წესის დარღვევის გამო;
- ე) დასკვნით გამოცდაზე შეფასების კომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 50% -ზე ნაკლების მიღება;

დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადადება ან გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით;

გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობებია:

ა) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილება სტუდენტის გამოცდაზე განმეორებით დაშვების შესახებ, დადგენილი წესის თანახმად;

ბ) საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის არადაამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, მისი განმეორებით დაცვაზე წარმოდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;

გ) 41-დან 50 ქულამდე სემესტრული შეფასების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის განმეორებით დაცვაზე წარმოდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;

დ) სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტებს, რომლის შეფასებაცაა ჯამი 41 ქულაზე არანაკლებია, კიდევ ერთხელ ეძლევა საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე;

ე) თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი;

სტუდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება მიმდინარე სემესტრის სასესიო პერიოდში, შესაბამისი ფაკულტეტის გამოცდისათვის დადგენილ ვადებში. შესაძლებელია სტუდენტის მესამედ გასვლა გამოცდაზე, თვითდაფინანსების შემთხვევაში.

დაუშვებელია სტუდენტისათვის ერთ დღეს, ერთზე მეტ დისციპლინაში დასკვნითი გამოცდის ჩატარება.

## **თავი IX. მონიტორინგი**

ყოველსემესტრულად ტარდება კურსის და ლექტორის მონიტორინგი. გამოკვლევის შედეგების ანალიზი იწარმოება ხარისხის მართვის სამსახურში (ინფორმაცია კონფიდენციალურია). აღნიშნული სამსახური სახავს ღონისძიებებს ხარვეზების აღმოფხვრისათვის.

## **თავი X. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების წარდგენა, დაცვა და შეფასება**

### **X.I. საბაკალავრო ნაშრომი**

1. საბაკალავრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე.
2. საბაკალავრო ნაშრომების თემატიკას პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
3. საბაკალავრო ნაშრომის შინაარსი:

ა) **თავფურცელი** - (სატიტულო ფურცელი) წარმოადგენს ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეივსოს შემდეგი თანმიმდევრობით:

- უმაღლესი სასწავლებლის სრული დასახელება (კერძო სამართლის იურიდიული პირი "თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი" გორგასალი".
- სტუდენტის სახელი და გვარი სრულად, სახელობით ბრუნვაში;
- საბაკალავრო ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა 16);
- მიმართულების /სპეციალობის კოდი და დასახელება;
- საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა და აკადემიური (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო) ხარისხი.
- ნაშრომის შესრულების ადგილი ("თბილისი") და წელი;

**ბ) ანოტაცია** მოკლედ (მაქსიმუმ 150 სიტყვის მოცულობით) და გასაგებად უნდა ასახავდეს ნაშრომის თემის აქტუალურობას, მიზნებს, ამოცანებს და ძირითად შედეგებს;

**გ) სარჩევი** თანმიმდევრულად უნდა ასახავდეს საბაკალავრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას მათი დასაწყისი გვერდების ნომრების მითითებით. გვერდების ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან.

**დ) შესავალი** - წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები, დასმული ამოცანები და დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდები;

**ე) ძირითადი ტექსტი**, როგორც წესი, იყოფა თავებად და პარაგრაფებად (თავის დასახელება უნდა დაიწეროს 16 ზომის შრიფტით);

**ვ) დასკვნა** - წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელიც მოკლედ და კონკრეტულად პასუხობს ნაშრომის მიზნებსა და დასმულ ამოცანებს;

**ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა** დალაგებული უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ - უცხოურ ენებზე და ბოლოს ინტერნეტ-რესურსები. მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, გვერდები. წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას უნდა დასახელდეს სახელწოდება, ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, გამომცემლობა, გამოცემის წელი;

- სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ბოლოს, შრიფტის ზომა 10 pt. ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით.

- **დანართები** (საჭიროების შემთხვევაში) - დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, პროგრამები, გაანგარიშებები, დიაგრამები და ა.შ.
4. საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა ხდება ქართულად, თუმცა სპეციალობისა და ნაშრომის თემის თავისებურებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის დეკანთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, დასაშვებია ნაშრომის გაფორმება და დაცვა უცხოურ ენაზეც.
  5. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმატივები:
    - ა) ფორმა - **(A4)** ზომის სტანდარტული ფურცელი;
    - ბ) შრიფტის სახე - **Sylfaen**
    - გ) შრიფტის ზომა - **12**; სათაურები და ქვესათაურები - **14**;
    - დ) სტრიქონებს შორის მანძილი - **1,5** ინტერვალი;
    - ე) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა - 3 სმ, მარჯვენა - 1 სმ, ზედა და ქვედა - 2,5 სმ;
    - ვ) ნაშრომის მოცულობა წინასწარ დგინდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით.
  6. საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასებისა (**XIII - XIV კვირა**) და დასკვნითი გამოცდისთვის (**სასესიო პერიოდი**) იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისია, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 წევრისაგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.
  7. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელმა შუალედურ შეფასებამდე 2 კვირით ადრე ფაკულტეტის ადმინისტრაციას უნდა წარმუდგინოს წერილობითი დასკვნა;
  8. დარგობრივი კომისიის წინაშე სტუდენტს დასაცავად გამოაქვს დადგენილი წესით გაფორმებული საბაკალავრო ნაშრომი.
    - ა. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანლის დასკვნის საფუძველზე პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი გამოყოფს რეცენზენტს. რეცენზენტი შეიძლება იყოს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "გორგასალი" შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული, ასისტენტ პროფესორი) ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი. რეცენზენტი შუალედური შეფასებისათვის წერს რეცენზიას და აფასებს ნაშრომს შესაბამისი უწყისის მიხედვით, რომელიც წარედგინება შესაბამის კომისიას ნაშრომის შუალედურ დაცვაზე. რეცენზია და უწყისი დამოწმებული უნდა იყოს ორგანიზაციის ბეჭდით. რეცენზენტი ვალდებულია უარყოფითი დასკვნის შესახებ წინასწარ (ერთი კვირით

ადრე მაინც) აცნობოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება საბაკალავრო ნაშრომის შუალედურ დაცვაზე;

ბ. შუალედური შეფასების დროს კომისიის თითოეული წევრი აფასებს წარმოდგენილ ნაშრომს შეფასების უწყისის მიხედვით.

გ. საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებებისა და რეცენზენტის ქულის საშუალო არითმეტიკულს. თუ მიღებული შეფასება 30 ქულაზე ნაკლებია, მაშინ სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით დაცვაზე (შუალედურ შეფასებაში მონაწილეობას არ ღებულობს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი)

დ. საბაკალავრო ნაშრომზე ექსპერტიზის ყველა ზემოთჩამოთვლილი ეტაპის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესახებ (სტუდენტების სიის, საბაკალავრო ნაშრომების ჩამონათვალის, დაცვის თარიღის, დროს და აუდიტორიის მითითებით). აღნიშნული ბრძანება უნდა გამოიკრას ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

ე. საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულს. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 + 1 ქულით (დასკვნით შეფასებაში მონაწილეობას არ ღებულობს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი)

9. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და ფინალური შეფასების ქულათა ჯამს.

10. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

11. გათვალისწინებულია შემდეგი სახის შეფასებები:

**ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება:**

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა;



**ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:**

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს აქვს ფინალურ დაცვაზე ხელმეორედ გასვლის უფლება იმავე სემესტრში. ფინალურ დაცვასა და შესაბამის დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და სტუდენტი უფლებამოსილია მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მოახდინოს გადამუშავებული ან ახალი საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა და იმავე პროცედურით გაიტანოს ის კომისიის მუშაობის პერიოდში საჯარო დაცვაზე.

## **X.II. სამაგისტრო ნაშრომი**

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "გორგასალი" შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული) ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კონტრაქტით მოწვეული სპეციალისტი.

მაგისტრანტისათვის სამაგისტრო თემის და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება მეორე სემესტრის დასაწყისში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანების წარდგინების საფუძველზე და ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მას არა აქვს ფინანსური და აკადემიური დავალიანება.

რექტორის ბრძანებით შუალედური შეფასებისა (XIII - XIV კვირა) და დასკვნითი გამოცდისათვის (სასესიო პერიოდი) შექმნილ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები (არა ნაკლებ სამისა და არა უმეტეს ხუთის). საატესტაციო კომისიას ხელმძღვანელობს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "გორგასალი" რექტორის ბრძანებით დამტკიცებული თავმჯდომარე, რომელიც ამავე უნივერსიტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორია.

პროგრამის ხელმძღვანელი ასახელებს სამაგისტრო ნაშრომის ორ რეცენზენტს, რომელთაგან ერთი უნდა იყოს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "გორგასალი" შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული), ხოლო მეორე - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი სხვა უმაღლესი სასწავლო ან კვლევითი დაწესებულებიდან. რეცენზენტები შუალედური შეფასებისათვის აფასებენ ნაშრომს

შესაბამისი უწყისის მიხედვით, რომელიც წარედგინება შესაბამის კომისიას ნაშრომის შუალედურ დაცვაზე. უწყისი დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ორგანიზაციის ბეჭდით.

რეცენზენტი ვალდებულია მაგისტრანტს გააცნოს თავისი რეცენზია სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე მაინც. რეცენზენტი ვალდებულია უარყოფითი დასკვნის შესახებ წინასწარ (ათი დღით ადრე მაინც) აცნობოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც გამოყოფს დამატებით რეცენზენტს. ასეთ შემთხვევაში დაცვის პროცედურაში მონაწილეობას მიიღებს სამივე რეცენზენტი. ორი უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში მაგისტრანტს უკან დაუბრუნდება სამაგისტრო ნაშრომი გადასამუშავებლად და იგი იმავე სემესტრში არ დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის შუალედურ დაცვაზე;

1. შუალედური შეფასების დროს კომისიის თითოეული წევრი აფასებს წარმოდგენილ ნაშრომს უწყისში მითითებული კომპონენტების შესაბამისად.
2. სამაგისტრო ნაშრომის შუალედური შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებებისა და რეცენზენტების ქულების საშუალო არითმეტიკულს. თუ მიღებული შეფასება არის 30 ქულაზე ნაკლები, მაშინ სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით დაცვაზე. (შუალედურ შეფასებაში მონაწილეობას არ ღებულობს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი)
3. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულს. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია მაგისტრანტის ნაშრომს შეაფასებს არანაკლებ 21 ქულით. (დასკვნით შეფასებაში მონაწილეობას არ ღებულობს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი)
4. კომისიას უნდა წარედგინოს აკინძული (ყდაში ჩასმული) სამაგისტრო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი;
5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა საჯაროა.
6. სამაგისტრო ნაშრომი კომისიის მიერ უნდა შეფასდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, ECTS-ის შეფასებათა ასქულიანი სისტემით, რომელსაც წინასწარ უნდა იცნობდნენ როგორც კომისიის წევრები, ისე მაგისტრანტები.
7. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ქულათა ჯამს.

8. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე მაგისტრანტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

9. გათვალისწინებულია შემდეგი სახის შეფასებები:

10. ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს აქვს ფინალურ დაცვაზე ხელმეორედ გასვლის უფლება იმავე სემესტრში. დასკვით დაცვასა და შესაბამის დამატებით დაცვას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და სტუდენტი უფლებამოსილია მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მოახდინოს გადამუშავებული ან ახალი საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა და იმავე პროცედურით გაიტანოს ის კომისიის მუშაობის პერიოდში საჯარო დაცვაზე.

11. იმ მაგისტრანტებს, რომლებმაც შეასრულეს სამაგისტრო პროგრამის სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები და წარმატებით დაიცვეს საკვალიფიკაციო ნაშრომი, ენიჭებათ **მაგისტრის აკადემიური ხარისხი** შესაბამის სპეციალობაში და მათზე გაიცემა სათანადო დიპლომი.

სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში მისი გამეორებით დაცვაზე წარმოდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

#### სამაგისტრო ნაშრომის შინაარსი:

ა) **თავფურცელი** - (სატიტულო ფურცელი) წარმოადგენს ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეიცავდეს შემდეგი თანმიმდევრობით **(დანართი 1)**

- უმაღლესი სასწავლებლის სრული დასახელება (კერძო სამართლის იურიდიული პირი "თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი "გორგასალი").

- მაგისტრანტის სახელი და გვარი სრულად, სახელობით ბრუნვაში;
- სამაგისტრო ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა 16);
- სპეციალობის კოდი და დასახელება კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად.
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა და აკადემიური (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო) ხარისხი მიეთითება თავფურცლის მარჯვენა მხარეს.

- ნაშრომის შესრულების ადგილი ("თბილისი") და წელი;

ბ) **ანოტაცია** მოკლედ (მაქსიმუმ 150 სიტყვის მოცულობით) და გასაგებად უნდა ასახავდეს ნაშრომის მიზნებს, ამოცანებს და ძირითად შედეგებს; ანოტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი **ქართულ და ინგლისურ ენებზე**.

გ) **სარჩევი** თანმიმდევრულად უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას მათი დასაწყისი და ბოლო გვერდების ნომრების მითითებით.

დ) **შესავალი** - წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდები;

ე) **ძირითადი ტექსტი**, როგორც წესი, იყოფა თავებად და პარაგრაფებად (თავის დასახელება უნდა დაიწეროს 16 ზომის შრიფტით);

ვ) **დასკვნა** - წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელიც მოკლედ და კონკრეტულად პასუხობს ნაშრომის მიზნებსა და დასმულ ამოცანებს;

ზ) **გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა** დალაგებული უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ - უცხოურ ენებზე და ბოლოს ინტერნეტ-რესურსები. ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი, აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნეს მოყვანილი ნაშრომის ბოლოს; სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ბოლოს, შრიფტის ზომა 10 pt. ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით.

**დანართები** (საჭიროების შემთხვევაში) - დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, პროგრამები, გაანგარიშებები, დიაგრამები და ა.შ.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა ხდება ქართულად, თუმცა სპეციალობისა და ნაშრომის თემის თავისებურებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის დეკანთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, დასაშვებია ნაშრომის გაფორმება და დაცვა უცხოურ ენაზეც.

**სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმატივები:**

- ა) ფორმა - (A4) ზომის სტანდარტული ფურცელი;
- ბ) შრიფტის სახე - Sylfaen
- გ) შრიფტის ზომა - 12;
- დ) სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5 ინტერვალი;
- ე) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა - 3 სმ, მარჯვენა - 1 სმ, ზედა და ქვედა - 2,5 სმ;
- ვ) ნაშრომის მოცულობა წინასწარ დგინდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით.

## **თავი XI. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი**

საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი. ბაკალავრის, მაგისტრის აკადემიურ ხარისხს, დადგენილი წესის თანახმად, ანიჭებს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“ შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე;

აკადემიური ხარისხს ადასტურებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

დიპლომი "წარჩინებით" გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ შესწავლილ საგანთა 75% არის A შეფასებით, ხოლო 25% - B შეფასებით.

## **თავი XII. შუალედური კვალიფიკაცია**

დაწესებულების აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლის შემთხვევაში სტუდენტის განცხადების საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელის მოტივირებული გადაწყვეტილებით და ხარისხის მართვის სამსახურის ვიზირებით, მიანიჭოს სტუდენტს შუალედური კვალიფიკაცია.

შუალედური კვალიფიკაცია სტუდენტს ენიჭება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლისთვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად.

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ

შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები.

შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

### **თავი XIII. სწავლა და სწავლება**

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ "გორგასალში" უმაღლესი აკადემიური განათლება მიიღება ორ საფეხურიანი სწავლების საფუძველზე. უმაღლესი განათლების საფეხურებია:

- ა) ბაკალავრიატი;
- ბ) მაგისტრატურა;

სწავლა და სწავლება განიხილება ერთიან აკადემიურ პროცესთან, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ განხორციელებული სწავლისა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სწავლების პროცესს - აკადემიური პროგრამების შესაბამისად.

აკადემიური პროგრამა არის საგანმანათლებლო პარამეტრების, კომპონენტებისა და სხვა სასწავლო ღონისძიებების პაკეტი, რომელიც ორიენტირებულია საკვალიფიკაციო შედეგზე. პროგრამები ყალიბდება ყოველი საგანმანათლებლო საფეხურის სპეციფიკისა და მიზნების გათვალისწინებით და ითვალისწინებს სავალდებულო საგნებს და არჩევით კურსებს როგორც ზოგადსაუნივერსიტეტო, ისე სპეციალობის/სპეციალიზაციის ბლოკებიდან.

პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ამ პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა გადანაწილებას სხვა სასწავლო პროგრამებზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### **თავი XIV. სტუდენტის სტატუსი**

ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე საქართველოს მოქალაქეებისათვის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები; გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სიების, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგამონაკლისო წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ან/და საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა დაცვის, მობილობის წესით გადმოყვანის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ;

მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და მაგისტრატურაში მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგამონაკლისო წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ან/და საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა დაცვის, მობილობის წესით გადმოყვანის საფუძველზე, რის შემდეგაც რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ;

მონაცემები ჩარიცხული სტუდენტის შესახებ, რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, თუმცა არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ადმინისტრაციას შეაქვს სტუდენტთა რეესტრში.

სტუდენტის საგრანტო კონკურსში გრანტის მოსაპოვებლად (გასაუმჯობესებლად) მონაწილეობის საკითხს აწესრიგებს "ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება"

სტუდენტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა უნივერსიტეტში დადგენილი წესების დაცვით;

სტუდენტის სემესტრული რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად: ადმინისტრაციული-სწავლის საფასურის გადახდით და აკადემიური (საგნობრივი).

### **სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აკადემიური შვებულება**

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლა.
- ბ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა ნაკლებად მძიმე, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.
- გ) მობილობის ფარგლებში სხვა სასწავლებელში გადასვლის შესახებ განცხადების დარეგისტრირება.
- გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. მონაცემები დადგენილი წესით შევა სტუდენტთა რეესტრში;

### **სტუდენტს აკადემიური შვებულება ეძლევა:**

- ა) უცხოეთში სწავლის გაგრძელების მიზნით (დოკუმენტურად დადასტურებული), არა უმეტეს სამი წლის ვადით გარდა იმ შემთხვევისა, როცა დოკუმენტურად დადასტურდება სასწავლო პროგრამის მეტი ხანგრძლიობა;
- ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო (სათანადო დოკუმენტით დადასტურებული);
- გ) მძიმე ავადმყოფობის მიზეზით (დოკუმენტურად დადასტურებული);
- დ) ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობის მიზნით, ორსულობისა და ახალშობილთა მოვლის გამო (არა უმეტეს 2 სემესტრისა, დოკუმენტურად დადასტურებული);
- ე) აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, სადაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი;

ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში, სტატუსის შეჩერებისას, სემესტრის ათვლა გრძელდება და სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომელშიც გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.

### **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) აღდგენილი სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების გარემოებების ხელშეორედ დადგომა;
- გ) სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- დ) დაწესებულებისათვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;
- ე) საგანმანათლებლო პროგრამის შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით და დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა;
- ზ) გარდაცვალება.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მას არ უბრუნდება სწავლის გადახდილი საფასური.

### **სტუდენტის სტატუსის აღდგენა**

- ა) სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე აკადემიური პროგრამის ფარგლებში;
- ბ) სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური;
- გ) სტუდენტის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით სტუდენტს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს რექტორს, სტუდენტთა მოხილობისათვის გამოცხადებულ ვადებში. განცხადებაში უნდა მიეთითოს სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებათა დასრულების შესახებ და თან დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებითი დოკუმენტაცია;
- დ) სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მონაცემები დადგენილი წესით შეიტანება სტუდენტთა რეესტრში;
- ე) სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა შესაძლებელია ერთი აკადემიური პროგრამის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო აღდგენა როგორც იმავე პროგრამის, ასევე სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე სხვა აკადემიური პროგრამის ფარგლებში.

## **თავი XV. სასწავლო კონტრაქტი**

რექტორის მიერ სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის შემდეგ ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტთან სასწავლო კონტრაქტის გაფორმებას და გასცემს რექტორის მიერ დამტკიცებული ნიმუშის სტუდენტის ბარათს.

## **თავი XVI. სტუდენტის პირადი საქმე**

7.1 სტუდენტის პირადი საქმე მოიცავს:

- ა) ჩასარიცხად წარმოდგენილ ყველა დოკუმენტს;



- ბ) სასწავლო კონტრაქტს;
  - გ) სტუდენტის სასწავლო ბარათს;
  - დ) სტუდენტთან დაკავშირებით გამოცემული ყველა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის დამოწმებულ ამონაწერს ან დამოწმებულ ასლს;
  - ე) სტუდენტზე გაცემული სერტიფიკატებისა და დიპლომების ასლებს;
- 7.2 სტუდენტის პირად საქმეს, აგრეთვე სასწავლო ბარათს ელექტრონული ფორმით ავსებს დებულებით განსაზღვრული სამსახური/პირი;
- 7.3 სტუდენტის პირადი საქმე ინახება სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში და სწავლის დასრულების შემდეგ 3 წლის განმავლობაში, შემდეგ კი გადაეცემა არქივს.

## **თავი XVII. სწავლის გადასახადი**

ბაკალავრიატში სწავლის საფასური შეადგენს 2700 ლარს, მაგისტრატურაში - 3000 ლარს.

სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;

სტატუს შეჩერებული სტუდენტისათვის სწავლის გაგრძელების შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის აღდგენისას დადგენილი ტარიფით;

სტატუსის აღდგენის შემთხვევაში უნდა განახლდეს სტუდენტის ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. ასეთ შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის აღდგენისას დადგენილი ტარიფით;

უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების სწავლის სემესტრული საფასური განისაზღვრება მოცემულ სპეციალობაზე მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით;

სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უმეტეს ერთი თვის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას;

სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს მის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ-შუალედურ შეფასებასა და დასკვნით გამოცდაში. აკადემიური რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, რის შემდეგ დაუშვებელია მომსახურების მიუღებლობის მოტივით გადახდილი თანხის ან მისი მომდევნო სემესტრში გადატანის მოთხოვნა;

ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილ ვადებში გავლის გარეშე სტუდენტის სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამატებით გავლა და მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასების) აღიარება.

## თავი XVIII. დამატებითი სემესტრის გავლა

სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და თვითდაფინანსების ფარგლებში განმეობით მოისმინოს ცალკეული სასწავლო კურსები სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობით;

სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადაში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო, ბაკალავრიატის სტუდენტისათვის არაუმეტეს ოთხი სემესტრის, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტისათვის ორი სემესტრის მანძილზე;

სტუდენტს დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური განესაზღვრება შესწავლილი დისციპლინების კრედიტების მოცულობით ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის (30კრედიტის მოცულობით) სრულად გავლის შემთხვევაში საფასური განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით;

ბ) ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას საფასური განისაზღვრება საგნისთვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად; ერთი კრედიტის საფასური შეადგენს სემესტრული სწავლის საფასურის ოცდამეათედს (1/30);

სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და იძენს კურსმოსმენილის სტატუსს, რომელიც დასტურდება შესაბამისი აკადემიური ცნობით.

## თავი XIX. მობილობა

სურვილის შემთხვევაში სასწავლებელი ხელს უწყობს სტუდენტთა გადასვლას სხვა სასწავლებელში მობილობის წესით, რისთვისაც სტუდენტი შესაბამისი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციას;

ადმინისტრაცია ვალდებულია სტუდენტს დაუყოვნებლივ მისცეს პირადი საქმის ასლი.

### სტუდენტთა ჩარიცხვა მობილობის წესით

მობილობის მსურველი შესაბამისი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციას, რასაც თან დაურთავს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;

ბ) ცნობა აკადემიური პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული ან აღიარებული კრედიტების შესახებ;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გრაფიკის შემუშავებაში;

### **შიდა მობილობა**

შიდა მობილობა გულისხმობს სტუდენტის მიერ არჩეული აკადემიური პროგრამის შეცვლას დაწესებულების ფარგლებში.

შიდა მობილობა შესაძლებელია პირველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ;

შიდა მობილობის პროცედურის დაწყების საფუძველია სტუდენტის განცხადება, რომლის საფუძველზეც დადგინდება სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების თავსებადობის საკითხი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი თანახმაა სწავლა განაგრძოს შეთავაზებული პირობებით, შიდა მობილობის შემთხვევაში ფორმდება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მონაცემები შევა სტუდენტთა რეესტრში.

### **სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა**

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში ფაკულტეტი სტუდენტს სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება იმ კვალიფიკაციის მინიჭება, რაც მიიღწეოდა იმ სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელზეც განხორციელდა სტუდენტის ჩარიცხვა. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა მუშავდება სტუდენტის მონაწილეობით და გადაყვანა ხდება მისი თანხმობის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს სხვა პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების გამო სხვა სპეციალობაზე გადასული სტუდენტი თავისუფალია პროგრამული თავსებადობის დასკვნის მიხედვით განსაზღვრული დამატებითი კრედიტების სწავლის გადასახადისგან. თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე უნივერსიტეტი აფორმებს მემორანდუმს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შესახებ, ხელს უწყობს სტუდენტს მობილობაში და მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

### **თავი XX. მიღებული განათლების აღიარება**

1. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება (ცნობა) ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარება ხორციელდება დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალისტების მიერ, მიღებული ცოდნის,

უნარებისა და ფასეულობების საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით.

3. თუ საბაკალავრო პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება მცირედით განსხვავდება დაწესებულების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კომპონენტისაგან, თუმცა შინაარსობრივად, ასათვისებელი კვალიფიკაციების მიხედვით იდენტური ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება იქნას აღიარებული დაწესებულების მიერ.

4. თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები მეტია, ვიდრე დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, სტუდენტს უღიარდება კრედიტები არსებული პროგრამის მიხედვით;

5. თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები ნაკლებია ვიდრე დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, სტუდენტს უღიარდება კრედიტები ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;

6. გამონაკლისი შესაძლოა დაშვებულ იქნას ხარისხის მართვის სამსახურის მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციით, თუმცა აღიარებულ და ასაღიარებელ კრედიტებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 2 კრედიტს.

## **თავი XXI. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები**

განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწესებულების მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი;

გადაადგილების უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესი სასურველია დაიგეგმოს სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე.

საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამაზე განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ჩარიცხვის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია სამედიცინო სამსახურის ორგანიზებით გამართოს კონსულტაციები სტუდენტთან და პრაქტიკის ობიექტთან (პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის არსებობის შემთხვევაში), აკადემიური პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

## **თავი XXII. სტუდენტური თვითმმართველობა**

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელსაც უძღვება პრეზიდენტი და თვითმმართველობის საბჭო. არჩევნები ტარდება ორ წელიწადში ერთხელ სტუდენტური თვითმმართველობა ათავსებს ინფორმაციას ღონისძიებების შესახებ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე – [www.gorgasali.edu.ge](http://www.gorgasali.edu.ge).

## **თავი XXIII. ბიბლიოთეკა**

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ "გორგასალის" ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს 6916 ერთეულს, აქედან 6901 წიგნად. საბიბლიოთეკო ფონდში დაცულია წიგნები როგორც ქართულ, ასევე უცხო ენებზე. უნივერსიტეტს გამოწერილი აქვს სამეცნიერო ჟურნალები ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მუდმივად ივსება უახლესი გამოცემებით;

უნივერსიტეტში აქვს სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით

უნივერსიტეტში ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე 9.30-დან 18 საათამდე; კვირაში ექვსი (6) დღე.

### **ბიბლიოთეკაში წიგნის გატანა-დაბრუნების პროცედურა**

წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტი სარგებლობს მხოლოდ სამკითხველო დარბაზით.

წიგნი გაიცემა ერთი კვირით.

გატანილი მასალის დაკარგვის შემთხვევაში სტუდენტი იხდის ჯარიმას.